

რედაქცია

დრეკიანი და მკაცრი, მუშაობის თანხა მარტონი თ. ლუარაბაძის სახელით, № 2.

ხელის-მოწერა

„დროებას“ „ივერიის“ რედაქციაში. გადამცემი ცხარეხატვის: ВЪ Тифлисе, въ ре... Дროება, „Иверія“

„დროებას“—„ივერიის“ უახლესი

წელიწადში. 6 თვეს. 3 თვეს

„დროებას“ „ივერიის“ ერთად. . . 13 მან. . . 7 მან. . . 4 მან. . . 3 მან. . . 2 მან. . . 1 მან. . . 1 მან. . . 1 მან. . . 1 მან.

დროებას

გამოდის ყოველ-ღვინე ორშაბათს გარდა.

უახლესი განცხადებები

დიდი ასაკით ასაკზე ქობა, შეეუბნებოდას მსოფლიო. რელით ასაკზე ნახევარი კამ. ჩვეულებრივის ასოთი ასაკზე შეუთხვადი კამ. თუ ხაჭაბუკა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასახელებს გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფაქტობრივად დაუბეჭდებს. განცხადება მ-ღვინე ქართულს, რუსულს და სხვა ენებაზე.

ზარასკეგს 19 სექტემბერს ქართული სცენის მოკვარულთაგან ღარბი ოჯახის სასწრაფოდ წარმოდგენილი იქნება

I უარი უარს—მადლი ღმერთს კომედია სამ-მოქმედებად, ცვლილებებით თარგმნილი ა. ჭიჭინაძისაგან.

II ცოლი თუ გინდა ეს არი! ვოდველი ერთ მოქმედებად ვ. აბაშიძისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასაში და აზნაუროვის მაღაზიაში.

დასაწყისი საღამოს 7 1/2 საათზე.

ხატი, იჯარით გაცემული

ტფილისი, 18 ენკენისთვე

მრთს სამწუხარო მოვლენას გვინდათ მივაქციოთ დღეს საზრგადობის ყურადღება.

ჩვენ სამშობლო მიწის სივრცეზე დღემდისაც დარჩენილან აქა-იქ ზოგიერთა წმინდა ადგილები და ხატები, რომელთა რწმენა ვერ შეურყევეა დროთა ვითარებას. იმათ მიუწერენ სასწაულო მოქმედებას და იმათგან „წყალობის“ და „შეწვევის“ მისაღებად.

დავების ფელტონი, 19 ენკენისთვე

საპრობილე თეორიისა

I. მის გიმცნია ქვეყნის ცხოვრების წვენი, მეთანხმები თუ ხარ კაცი მომთმენი. ძვეყანაზე სამართალი არ არის, ძვეყანაზე სუსტსა მძლავრი დახარის; არის სხვა და სხვა სახისა ძალები: მუშტის ძალი, ფულის ძალი, მძაღლები. შურის ძალი, რისხვის ძალი, ვნებისა, ძალი მტრობის, ბრძოლის და ოხრებისა. ეს სულ ძალი, ძალი უმი, უნდლი; სამართლისა არ არის არც აჩრდილი. ისტორია წასული და აწ-მდგომი ამას მოწმობს, თუ იპოვა მიმხდომი. სამართალი არის,—მაგრამ გულშია, იქ მწყერული არ ვის ამოუშვია. იგი არის საგონები, სარწმენი, როგორც ღმერთი უხილავი, უჩენი. თვით შინაგანს კაცის თბეს ჩასახულა, და ხელ-ფეხით სულ სულ ძვირად სახულა. რაც რომ კაცი სოფელში ხორც-შესხმულა,

ლათ, იმათ წინაშე მუხლ-მოსადრიკათ და ძღვნის შესაწირავათ ხალხი, სი-შორის დაუზოგავათ, მოდის წვრილ ცოლმეილით და ავედრებს თავს ამ ადგილებს...

ამ გვარ წმიდა ადგილებს ეკუთვნის შულის კარის წმიდა ბიორგის ეკლესია (სამეგრელოში), რომელზედაც გვინდა ველაპარაკოთ აქ ჩვენ მკითხველებს.

მრთი სამას-სამოც-და-სამთა ქართველთა წმიდა ბიორგთაგანი, შულის-კარის წმიდა ბიორგი მთელს დასავლეთ სამეგრელოში და აღმოსავლეთ აბხაზეთში არის განთქმული, როგორც სასწაულო მოქმედი. იმისი მნიშვნელობა, არა მარტო რელიგიური, არამედ სამსჯავრო და სამოქალაქო, ყველასთვის ცხადია, ვისაც კი თვალთ უდევნებია მეგრელი საზოგადოებისთვის. აქაურ ცხოვრებაში ამ ხატმა უნდა აცხოვნოს მეგრელი, აქაურს ცხოვრებაში შემწეობა უნდა მისცეს და სამართალი გაუჩინოს.... მურდი, რომელიც გარდაცა ამ ხატით, ავთამყოფი, რომელმაც განკურნება სთხოვა იმას, კაცი, რომელმაც ამ ხატზე ტყულად დაიფიცა სულ ყველანი მიიღებენ ამ ხატისგან იმას, რასაც დაიმსახურებენ. ასეთია ხალხის წმუნება, ასე მალლად დგას ძღვევა-მოსილი წმიდა ხალხის თვალის წინ.

მაგრამ, სამწუხაროთ და საკვირვე-

და ღვთისაგან სამართლით სულ-ჩადგმულა, მხოლოდ ფიქრში იმედად ზმანებულა,—

საქმეში კი არ ვისგან ხმარებულა. მისი მშვიდი შინაგანი სუფევა მარტო ერთ სადარბაზოდ ითქმევა: მსაჯულებში სანთლით არ მოიძევა, შფროსებში ოქროს ხბოს წინ იქცევა. მდიდრებში ხომ ანგარიში ერევა, წინამძერებში სულ შიმშილით იღვევა. ღარიბებში, თუმც მძლავრთაგან ირბევა, მაგრამ გიდეგ სუსტ-ნიავედ ინძრევა.

II ჩაგრულ-ტანჯულთ შეჩვენება და წყევა ლოცვის ნაცვლად ზეცას მარად ეკმევა; მწუხარეთა, ჭირვეულობათაგან ზღვევა. მრუ გოდებად ცათამდის აღიწევა; უქონელთა, ობოლთა ხელ-ფეხთ ქნევა არავის წინ არაფრად არ იმჩნევა; დავრდომილთა მდიდრების ქვეშ ფხარკალი

ლათ, ეს პატივი და კრძალვა მარტო ერთი მხრიდგან აკლია ამ ხატს. ეს მხარე არის სასულიერო მხარე, სასულიერო მთავრობა.

სასულიერო მთავრობა, რომლის უმთავრესი დანიშნულება ის არის, რომ შეინახოს ჯგროვანს სიმალღეზე წმიდა და სამღეთო სახელი ხალხისგან პატივცემულ წმინდანებთა და ეცადოს არ დაიკარგოს ხალხში მათი კრძალვა და პატივი სასულიერო მთავრობა, ვამბობთ, ვერ ინახავს რიგინათ ამ წმიდა ხატს.

ნაცვლად იმისა, რომ ეს ხატი ესვენოს წმიდა ტაძარში, შესაფერ ადგილზე, ხელ უხლებლათ, მიუკარებლათ, როგორც შემწევის ხატს, ეს ხატი ეხლანდელ მის მცველთ ხელში სათამაშო კუკლათ გახდა. როგორც კუკლას, დაატარებენ ამ ხატს, ილიას ქვეშ, წითელ მაუღში გამოხვეულათ, უღირსნი მცველნი ამა ხატისა და დადიან სოფლითი სოფლათ გვარიით გვარად, ხალხის სარწმუნოების ეკსპლუატაციისათვის.

ამ ხატის ეკსპლუატაციისთვის ტაქსა დაწესებული: ერთი გადაცემა ამდენი მანეთი, ერთი დალოცვა ამდენი მარჩილი, ერთი დაფიცება ამდენი, ეუთი იმისი სხვა სოფელში წასვენება ამდენი თუმანი და სხვ. უკანასკნელ დროში ვაჭრულ მოსაზრებისა გამო— risum teneatis—საქმე იქამდის მივიდა, რომ ხატი... იჯარით, გასცეს.

არის ჩვენს დროს საქვეყნო სამართალი. სამართალი შეპყრობილი შიგ არი მრთმაც ვერ ქმნა, ვერ გაულო ბჭის კარი;

ის იქ ფრინავს იდეების სიმრველში და ცხოვრება მიჯახირობს ხრო მგლეში.

ჩვენ რად გვინდა სიმართლის იდეები, როდესაც გვჭამს უსამართლო მღევეები?!

გვინდა მხოლოდ სამართალი ცოცხალი, მოარული, მოქმედი, მუშა ძალი და არა ბრძნის ცულ-როტეაში ჩამქრალი, შინარი, უსულო და უვალი.

III ზავირყვეით, წაეხდით, შევრცხვით, დავეციოთ, სამართალს და სენდისს ხმა ვერ გავეციოთ: სამართალი შიგ-გვებჭობა—ვიყრუებთ, სენდისი გვხრავს—„არაო“ თავს ვიტყუებთ. აღარა გვწამს არავისი კეთილი,— წრფელი გრძობა, სენდისი გაწმენდილი;

შ.რზან ერთ ვილაც მხეიდეს ქონდა თურმე აღებული 400 მანეთად, წრეულს იმსვე აუღია 500 მანეთად. მტყობა ცუდათ არ მიდის ვაჭრობა.

მერე როგორ ეპყრობიან თითონ ხატს მოიჯარადრეები? ლეზოკს აქვს მოყვანილი თავის ისტორიაში ერთი ველური ხალხი, რომელიც სცემს თავის კერპს, თუ იმან არ შეუსრულა თხოვნაო. სწორეთ, იმას გვაგონებს ჩვენი იმ მეხატეთა ქცევა, რომელთაც ხელში აქვთ შულის წმიდა ბიორგი. „რაზე მიჰყავი ეს, წმიდა ბიორგი — ემუსაიფება ხატს მეხატე—რაზე მიყავი მე, შენ ჯორს რატომ წამირთმევიე ჩემი ბუძგანისთვის მისი ცხენი. სირცხვილი არ არის? მე ამას მოველოდი შენგან? და სხვ. და სხვ...“

ამ გვარ კაცთ ხელში ჩაყარდნილ ხატს ადგილი გასაგებია, თუ რა ბევრ ხანს შეუძლია თავის ორეოლის შენახვა? ეს პატივი და ეს კრძალვა განქრება იმ ჩიბუხის კვამლთან, რომელთა მწვევლებთ დააქვთ ქუჩა-ქუჩა ეს ხატი.

ნუ თუ ეს არ ესმის სასულიერო მთავრობას?

ამ შემთხვევაში ბრალი თუ უბრალობა ადგილობრივი ყოვლად-სამღედელოსი არის. ადგილობრივი ეპისკოპოსი იქ არის იმერეთის ეპისკოპოსი ზაბრიელ. ჩვენ სრულებით დარწმუნ-

მრთულებთ, მეგობრობა და ძმობა ხომ სულ ფუტყელ, საჩვენებლად იწყობა მრთმანერთის სულ ყველას გვემინია,

რომ გავუტყდეთ რა,კა გულს ჩაგვრჩენია, პარს ვატირებთ როცა გულშიდ ღხინია.

ტრუ აღერსით ყოველ დღე გვიცინია. ქველა ვკრძობთ, რომ ერთმანერთსა ვატყუებთ, ხმელი სიტყვით ერთმანერთსა ვაბრუებთ, გულის პაუხს ერთმანერთს ვერ განვანდობთ, მიშიშვით, რომ ერთმანერთს არ დავინდობთ.

სულ სიყალბემ, ცრუ-მჩემობამ გავგვალა, შნადელობამ, გულ-ცივობამ მოგვშალა. მხოლოდ მაშიდ ვახელოვნებთ გონებას. სამართალი შეიქნა „სატარტალი“, სამოგვერო საგდები, საბურთალი; შევიქენით ენითა გაქლექილი



ნებული ვართ მარბიელ ეპისკოპოსის მალალ და ძვირფას ღირსებაზე, მის განათლებულ გონებაზე და ეყუდარებელ პატიოსნებაზე, მაგრამ, ამ შემთხვევაში, არ შეგვიძლია არ უთხრათ იმას: თქვენ სამწყსოში წმიდა ხატს ჰყიდიან, ღვთაებრივი მადლით ვაჭრობენ და თქვენ, კი არ უშლით ამას.

მართალია, ეპისკოპოსს სულ სხვა განზრახვა აქვს, როდესაც ამ გვარ განკარგულებას ახდენს; იმას უნდა ეკლესიას არ დაეკარგოს ის დიდი შემოსავალი, რომელიც აქვს ამ ხატს, და რომელსაც წინათ მღვდლები და დიაკვნები იყიდებდნენ, მაგრამ, განა არ შეიძლება ისეთი ორგანიზაცია დაწესებულიყო ამ ეკლესიასთან, რომ ეს შემოსავალი არ დაკარგულიყო და თანაც ხატის ღირსებაც რიგაინათ დაცულიყო?

ან კი რა უნდა იყოს შემოსავალი ამ ღირსების შენახვასთან? რა უნდა იყოს გროში ღვთაებრივი მადლით ვაჭრობასთან?

ლექო.

ახალი ამბები

რუსულს გაზეთს გოლას-ში ვკითხულობთ მდგისიდან გაგზავნილს შემდეგს ტელეგრამას:

„იმ ათას აბხაზთაგან, რომელნიც აგიოს ზუტრასის გემით მოვიდნენ ბათომში, 7 სექტემბრამდე, ოცდახუთი დღის განმავლობაში, გადაიცვალა 178 კაცი. მანარჩენნი სამხედრო ძალის საშუალებით ხელახლად აიყვანეს აგიოს პეტროსზე და გემის ბუქსირით და სამხედრო მსახურის გაყოფებით გაგზავნენ მსმალის ნაპირებისაკენ.“

როცა გემი აგიოს პეტროსს მიუდგა

ცხოვრებითა დახლილი, დაცვეთილი ძალის მონათ გენდა ძალის უფლება, ძალით გენდა რაც ძალით შეიძლება: ჯერე ფახით, მერე ტუკით, ან ტორით ანუ შარით, ცილით, ფანდით და კორით ჰკუთ იწერთის მუდამ ამ გელარძნილობას, მოტყუებას, მზაკრობას--პირცვლილობას; ნიქსა ეზომავთ მოტყუების სიმარჯვით, შოველს ფრამდის ამ გემვაში ვინარჯვით. ძაცის ქერქში გამოვზარდე სეაგები, წუჭი ნდომა, ძმათ-მლაღავი მკლავები; ზავაპოხეთ ვნება, გულთ--თქმა მსუნაგი და საწყალ-კაცს ყელს-მოუსწრეთ ხუნაგი. მიგრძნეთ ღონე ხორცის, პურის, ღვინისა; მოძმეთაგან სისხლად მონადინისა, ღვეითვერით, გავზავდით გავგულგვევდით

ნაპირს, ხმელეთიდან მას თოფები დაუშინეს. საბუქირო გემი და სამხედრო მსახურნი ბათომში დაბრუნდნენ. საგანაპირე დარაჯთა მრხსენებით აგიოს-პეტროსს გემის მსახურნი სურდა რა თავიდან აეშორებინა ეს „ცოცხალი ტვირთი“, იმ ღამესვე მოადგა ჩვენს ნაპირს და უბედურნი აბხაზები გადმოსეა ფრიალო კლდეთა შორის საიდანაც მათ მხოლოდ ერთი გზა აქეთ ზღვა, რომელიც შეიქნება აგიოს პეტროსის გულ-ქვაობისაგან განწირულ რეა ასი აბხაზის სამარცდ.“

ზუგდიდიდან გვატყობინებენ, რომ ერთს იქაურს თავისუფალ ფერშალექიმს სოკრატ იოსელიანს მოუწამლავს ერთი ვილაც მეგრელი. იოსელიანი ამ შემთხვევაში ზუგდიდის სატყუალში. ამბობენ, რომ ამ იოსელიანს ვითომ ლიონადის წყალთან დაეღვივებინოს განსვენებულისთვის რაღაც კაპლები იმ განზრახვით, რომ გზაზე დაეძინებინა და ფულები ამოეცალა, მაგრამ კაპლები ნამეტანი მოსვლია და კაცი იმავე დღეს მომკვდარა. მამოძიება არის ამ საგანზე დანიშნული.

ბროსსს პრემია

ბროსსს სიკვდილმა აღძრა ყველა ქართველნი. ამ გვარი კაცის დაკარგვა, როგორც იყო ბროსსს, ქართველებმა საზოგადო მწუხარებათ შეირაცხეს. თბილისში, ქუთაისში, შორში იმის მოსახსენებლად პანაშვიდი გადინადეს, სიტყვები წარმოთქვეს... მსლა ჩვენ მოგვდის წერილები ქუთაისიდან, შორიდან, თელავიდან, ახალ-ციხიდან, რომლებშიაც გვწერენ ბროსსსს სახელით პრემიას და სტიპენდია დაენიშნოთო. იწერებია: ჩვე-

ნი უმადურობა და სულ-მოკლეობა იქნება ბროსსსს სახელს პატივი არავსცეთ, მისი სახელი საუკუნო სახსენებლად არ გავხადოთო.

მართი ამ წერილთაგანი, პატივ-ცემული ძრისტოფორე მამაცოვისა, ასე ამბობს:

„...სასიამოვნოა ყოველი მამულის შევილისათვის ნახოს ის თანაგრძობა, როგორც გამოაცხადა ჩვენმა ქვეყნამ იმ კაცისადმი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენს ძველი ლიტერატურის შემუშავებას და დაგვანახა, როგორც ჩვენ, ისე მთელს მეროპას იმისი ღირსება და სიმდიდრე. შბროსსსს ჩვენ არ გვექნებოდა ის ცოტა გავება ჩვენ წარსულს ისტორიულ ცხოვრებაზედ, რომელიც ეხლა გვაქვს და რომელიც ყოველის მხრით ღირს-შესანიშნი არის. აგრევე თუ ამ პატივცემის კაცის შრომა არ ყოფილიყო, ჩვენ დღევანდლამდინ ვერ გავიცნობდით ჩვენს წინაპრებს, რომელნიც თითქმის ორი ათასი წელიწადი რცავდნენ თავიანთ მამულს, ენას, თვის-ტომობას და ქართველისათვის ფას-დაუდებელ თავისუფლებას.“

თავის სინდისიანი შრომის გარეთ, ბ. ბროსსსს გულითა და სულით უყვარდით და ამისათვის ჩვენც მოვალენი ვართ არ დავივიწყოთ ის და რომ საშუალება ვინმაროთ იმის სახსოვრათ.

ჩვენ რომ სხვა-და-სხვა მიზეზებით გაღარბებული არ ვიყვნეთ, ჩვენი პირ-და-პირი მოვალეობა იქნებოდა აგვემართამარი ბროსსსსათვის ძველი, მაგრამ, რადგანაც ჩვენი სიღარიბე ამის ნებას არ გვაძლევს, ამისათვის ეს მივანდოთ ჩვენს შთამომავლობას, რომელიც, იქნება, ჩვენზედ მდიდრები და ბედნიერები შეიქნენ და ჩვენ-კი ცუდათ არ მოვიქცეოდით, რომ ერთი

ჩემი ერთი, ორი კალმის მოსმარა წამოდგომა, ჩაცმა, ზედ-წამოხმარო სულ თქვენად ღირს და თქვენ ჭირნახულადო მე გამძღვით, თქვენ იყავით მარხულადო.“

IV

თეორით წიგნები დავსებულა, მთელი თარგი სწავლისა დადებულა; ბევრი ჰაზრი ამხედ დაღალულა, ბევრი სჯული ამისთვის დაკვალულა; ბევრი სისხლი იმით აღუღებულა, ბევრი გული ამით განურებულა, მშვენიერი საამო სიტყვა თქმულა, სამართალი მაინც კი არ ნახულა! არ ნახულა სოფელში სამართალი, სამართალი სასწორი და მართალი. თეორიის სამფლობელო ვრცელია, მისი ფრინვა ზომა განუცდელია; მაგრამ მისი საპყრობილე ბნელია ქედელ-სქელი და კარ-უღებელია; რაც მასა აქვს მომხრობილი ადგილი სწორი რჩევა, როგორც სჯული ნამდვილი, ცხოვრებაში ის დიდი საცდელია, მეტათ ძნელი ხან შეუძლებელია. თეორიით, რაც ვითამ ვარგებულა, პრაქტიკაში ხშირად გატუდებულა.

წლის, ანუ რამდენიმე წლის განმავლობაში მოგვეგროვებინა ფული და იმის სარგებლით დაგვენიშნა ერთი, ანუ რამდენიმე სტიპენდიატი გიმნაზიაში, სემინარიაში, ანუ უნივერსიტეტში ბ. ბროსსსს სახელობაზედ. მან-საკუთრებით შეიძლება და მხედველობაში გვეყოლოდა იმ მოსწავლეთაგანი, ვინც ყველაზედ მეტს წარმატებას და ნიჭს გამოიჩინდა ქართულის ენის შესწავლაში.

შეეთუ თქვენ თანაუგრძობთ ამ ჩემს წინადადებას, მაშინ ცუდი არ იქნებოდა რედაქციას თავის თავზედ მივლო საჭირო ფულის მოგროვება, ამ სასარგებლო და სასახლო საქმისათვის...“

ჩვენც გზა იქითკენ გვქონდა, ჩვენი სურვილიც ეს იყო.

შექველია, სტიპენდიის და პრემიის დანიშნა უკეთესი პატივისცემა ბროსსსს, ვინემ ძველის ამართვა. მს სტიპენდია და პრემია იქნება მისგან დაწესებული საქმის გავრძობა, ერთ-დამიამე დროში ჩვენი ქვეყნისთვის გამოსადეგი და მისი სახსენებელიც.

თუ შეიძლება იქნება კარგია, რასაკვირველია, პრემიაც და სტიპენდიაც ბროსსსს სახელზე და ამ წინადადებაზე უარი ჩვენ არ გვეთქმის, მაგრამ, ჯერ დროებით; მართა პრემიაზე რა შეეჩერდეთ კი სჯობია. მართულ ისტორიულ თხზულებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, ვინემ რომელსამე სტიპენდიანტს.

ზეგონია, რომ საზოგადოება დაგვეთანხმება ამხე.

ამისთვის ჩვენი რედაქცია კისრულობს გამართოს ხელის-მოწერა ამ პრემიისთვის საჭირო ფულების მოსაგროვებლათ. ქველას, ვინც კი ისურვებს ამ საგანზე ფულების შეწირვას, შეუძლიან გამოგზავნონ თავისი ნაწილი „ღროების“ რედაქციაში. შო-

სე არის ქვეყნისა სამართალი, სასწავლელი, სასურველი, საწვალი; ასე არის ის მადლი კაცობისა, ის კავშირი, ის ნუგეში ძმობისა, თეორიის ჯურღმულში პატიმარი, თქმით საქები, საქმით კი--საჩივარი, საჩივარი და მწარე საღივარი საკამათო, სამტერო, სატკივარი. მართალს ვამბობ--ტყვე არის სამართალი, დამიჯერეთ, გასინჯეთ, სად აქვს კვალი? მინც გინდ იყო, თუნდ ბრუნდი, თუნდ მართალი, აღიარეთ: „არ გვაქვს თქვა სამართალი! ჩვენ გეწადს მხოლოდ ხალხს შევყაროთ მტვერი, დავუბნოთ ბღღვირითა თვალის სერი მოვაჩვენოთ სამართალი მცბიერი, და ჩვენ გავხდეთ მდიდარი და ძლიერი!“

ნ. დადიანი

7 მარტს. 1878 წ. ქუთაისი.

ველს კვირაში, ან ორ კვირაში ერთ-სეულ, გაზეთში დაიბეჭდება ვისგან რა შემოვიდა.

ვისაც უნდა თითონ მოაგროვოს ამ საგნისათვის ფული, ჩვენ გაუგზავნით დაბეჭდილ „ფურცელს“ ხელის მოსაწერათ. მინც ისურვებს გამართოს წარმოდგენა, საღამო და სხვ. ამის სასარგებლოთ განცხადების და ანგარიშის მუქთად დაბეჭდვა რედაქციის საქმე იქნება.

მიმედოვნებთ, რომ საზოგადოება დიდის მონაწილეობით მიიღებს ამ ხელის-მოწერას. ამ დღეებში გამოცხადებთ ჩვენს გაზეთში პირველი ხელის-მომწერელთ სიას.

„დროების“ კორექსიონდენსია

შოთი, 15 სექტემბერს. მწერთ იმ ფაქტს, რომელზედაც ამ წამათ მთელი შოთი დიდიდამ-პატარამდე დიდს სჯაში და ბაასშია. ამ დღეებში რევიზიამ აღმოაჩინა აქაური სახელმწიფო თოფის წამლის მალაზიიდან სამასი ფუთის წამლის დაკარგვა. მტრდები ისე დახელოვნებული ყოფილან, რომ არც ბეჭედს და არც ბოქლომებს არ ტყბდენ თურმე; კარს ხსნიდენ იმ მხრით, საითაც კარი კედელს კიდა, და შემდეგ წამლის გამოტანისა ახერხებდენ კარების გაკეთებას ისე, როგორც წინეთ იყო. როგორც ვტყობა ეს საქმე ერთი, ან ორი დღის ნამოქმედარი არ უნდა იყოს, მისთვის რომ რამოდენიმე დღეს ამდენი წამლის გამოტანა და გასაღება შეუძლებელი საქმეა. დანაშაულობა ბრალდება სამხედრო ყარაულს, რომელიც ბინათ იქვე დგომილა და მისი ყარაულობის მეტი არავითარი საქმე არა ჰქონია. ამბობენ ამ ყარაულში მონაწილენი უკვე დატუსაღებული არიანა. სამხედრო გამომძიებელი უკვე შესდგომია საქმის გამოკვლევას.

მართი ნაწილი ამ თოფის წამლისა უნახავთ ბოლანში კასრებით მიწაში დაფლული. უნახავთ აგრეთვე რამოდენიმე კასრა ძაპარჭინას ტუბის ნაპირს მიწაში. ბევრი კერძო პირების სახლები გასწრაფეს და ბევრს უპოვეს რასაც ეძიებდენ. მისაც უპოვეს დატუსაღებულია.

ამავე საქმეზედ დაუტუსაღებიათ რამოდენიმე კაცი ბურიაშიაც.

ჭ - კელი.

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

ასე მითხრეს, თქვენ ხელახს შევლითო: ღმერთი გაცოცხლებსთ, ერთი ჩვენც წამოგვიწიეთ ხელი. თქვენი მტერია ისე, როგორც ჩვენ აგვაოხრეს. აი საქმე რა არის:

მუთისის ღუბერნიაში აქვთ ჩვეულება თავდა-ახანაურთა და გლეხთა (ამ უკანასკნელთ კი უფრო ძვირად) მიმინოთ მწყერობისა. ჩვენს სო-

ფელშიდ მწყერობა დაიწყება 15 აგვისტოდამ, იმ დროს, როდესაც ფეტვი, ღომი და სიმინდი უმწიფარია. მე იმას არ ვამბობ, რომ მონადირემ არ ინადიროს და არ იკმაყოფილოს, მაგრამ ეს ნადირობა ჩვენს ყანებს მეტის-მეტად აფუჭებს. ჯერ მარტო შესახებ ჩვენი სოფლებისა ვიტყვი: ს. ჭყვიშისაძულაშისა და ხუნჯილორისა. ამ სამსოფლის საყანებზედ, სულ რომ ცოტა ვსთქვა, ორასი მომწყერე მინც ნადირობს, უმეტეს ნაწილად ცხენებით და წინ მიუძღვისთ მეძებრები და ხელზედ უზის მიმინო. ხუთი, ათი და ოციც ერთად შევლენ ხოლმე ცხენებით ამ მშვენიერად გადაზღვევებულ ყანებში; ცხენები სჭამენ და კიდევაც ფეხებით ამტვრევენ ყანას. მე კიდევ არაფერი: ვსთქვათ ამოფრინდა მწყერი, უკეთუ მიმინომ ვერ მიეწია თავის მსხვერპლს და სადმე მახლობლად ჩაჭვრინდა, ეს ოცი, ოც-და-ათი ცხენოსანი კაცი გამოუდგება და ცდილობს ის ხელ-ახლად აიფრინოს.

შემდარითად, ათს და თუთხმეტს საქმეზედ ჰაერში ღომის თავისი ნაწყვეტები აღის ცხენის ფეხის და აბქანდისაგან მოგლეჯილი და იმას გარდა, რაც ჩალა რჩება, სულ მიწაზედ არის დაფენილი ისე, რომ ერთს ქცევანდ ორი და სამი ურმის მოსავალი რომ იყოს, დიდი იქნება ერთი ურემი-ლა დარჩეს ყანის პატრონს. ეს ნავარდობა ყანებშიდ არის 15 აგვისტოდამ 20 ოკტომბრამდე ხან მეტი. ბატონ-ყმობის დროს ვის შეეძლო ხმა ამოვლო.

შემდეგ ჩვენის განთავისუფლებისა ხონის მსაჯულს ხალხმა მივმართეთ ამ საგანზედ თხოვნით, რომლისაგან აღკრძალულ იქმნა ცხენით მწყერობა ყანებში. შემდეგ ამისა დაიწყეს მწყერობა ქვევითათ, მაგრამ აი თუ როგორ: ცხენით მობრძანდებოდნენ საყანებზედ, ჩამოხტებოდნენ ცხენიდან, ცხენს აღვირს გადააძრობდნენ და გაუშვებდნენ ყანაში, თვითონ კი ქვევითათ მწყერობდნენ, ამან კიდევ უფრო შეგვაწუხა, რადგან ვხედავდით, რომ ჩვენს ნაოფლარს და ცოლ-შვილის სარჩოს უღმრთოდ აოხრებდნენ ცხენი ცალკე და კაცი ცალკე. ისევე ჩვენ მოვანსენეთ ბატ. მემწყერებეს, რომ ცხენით ემწყერებინათ ოლონდ კი ნუ დაიწყებენ ჭენებას ღომში და ფეტვში. ღვთიანი კაცი ვინც არის არც უწინ აფუჭებდა და არც ეხლა აფუჭებს ყანებს ცხენის ჯირითით მწყერობის დროს. მაგრამ, საუბედურთ უღმერთო უფრო ბევრია და იმ მდგომარეობაშიდ არის ხალხი მიწვენილი, რომ მეთელი ნაწილი თვისის შრომის მოსავალი არ რჩება. უმეტესი ნაწილი ჩვენგანი ჯერ კიდევ არა ვართ მიწის მესაკუთრენი. ძიდევ ნადელში ვართ; ეს კურთხეულები, იმას კი არ ჰფიქრობენ, რომ იმათაც აკლდებათ ამ ყანების გაფუჭებით ნადელი.

ღმერთი გაგიმარჯვებსთ, ღვთიანო

კაცებო, როგორმე გადაგვარჩინეთ შემოხსენებულთ მწყერებზე მონადირეთა განადგურებისაგან.

გლქისი გულა სულაჯა.

10 სექტემბერს.

სოფ. სუსჯულორი.

ლიტერატურული ღუშეთის გაზრახვი *

(დასასრული)

როცა გადავარდება იმ ალაგს ეს სნეულდება, მაშინაც დიდი სიფრთხილე ეჭირება ხალხსა, რომ ხელ-მეორეთ არ გაჩნდეს ეს ჭირი ან იქავე ან სხვაგან. ამისათვის ის ოთახები, ანუ სახლები, საცა ყოფილა ავთამყოფი, ვიდრე შევიდოდნენ იქა, კარგა უნდა დაიგავოს, დაიწმინდოს და გაირეცხოს პოლები. თუ ფიცრის ანუ ქვის პოლია უნდა გაირეცხოს ნაცარ-წმენდით, ანუ კირით, წყალში გათქვეფილით. ძედლებიც რომ ასე გაირეცხოს უმჯობესი არის. თუ მიწის პოლია სახლებში, მაშინ უნდა ერთი ბარის პირი მიწა აიღონ, გაიტანონ შორს, ღრმა ორმოში ჩაყარონ და კარგა დატყვნონ და ზედაც ცოტა კირი წაყარონ. ამ მიწის მაგიერათ ახალი მიწა დაყარონ ოთახში. ბარდა ამისა, რაც კი არის იმ სახლში ტანტი, თუ სკამი თუ სტოლი ყველა კარგათ უნდა გაირეცხოს, აგრეთვე რაც რამ ჭურჭელი ყოფილა იმ სახლში, ნამეტნავათ თუ ავთამყოფს უხმარია, ყველა კარგათ უნდა გაიხნოს და გაირეცხოს. აგრეთვე იმისი ლოგინიცა, ტანისამოსი კარგა ნაცარწმენდით უნდა გამოიხარშოს და გაირეცხოს და ისე იხმარონ თუ საჭიროება მოითხოვს. ასე უნდა უყონ ავთამყოფის პირსახოცსა, ხელსახოცსა, თეთრელსა და ყოველი ფერსა, რაც კი მიკარებია ავთამყოფსა. ბოლოს როცა ესენი შეასრულონ კარგი იქნება რომ ოთახებში, საცა ავთამყოფი წოლილა, დაახრჩონ გოგირდი. უნდა დაკეტონ იმ ოთახის კარები და ფანჯარები, დაყარონ ნაკვერჩხალზედ გოგირდი და იყოს დაკეტილი ოთახი ერთი დღე და ღამე, შემდეგ გააღონ ერთი დღით ფანჯარები და კარები, რომ ჰაერსა მოძრაობა ჰქოდეს და შემდეგ შევიდნენ და იცხოვრონ შიში აღარ იქნება.

წამლობა დიფტერიისა. ამ საგნებზედ ბევრს ვერას ვიტყვი, რადგანაც უეჭიმოთ ძრიელ ძნელი არის ამის წამლობა. თუ ექიმი არ შეესწორს ავთამყოფს, მაშინ შინაურის შემწეობით უნდა უშველონ ასე: უნდა გაუკეთდეს ყელის გამოსავლები წამალი, ერთი ჩაის კოვზი დანაყილი შაბი უნდა ჩაიყაროს ერთ სტაქან (დიდ სტაქანში) ცხელ წყალში და რომ გაცივდეს იმით უნდა ივლოს ყელი ავთამყოფმა საათში ერთხელ. უკეთესი არის რომ მუხის ქერკი გამოიხარშოს წყალში. ოთხი თითის ტოლა მუხის ქერკი კმარა ერთ სტა-

*) ისილუ დროება № 197.

ქან წყალში. მერე ამ წყალში ჩაჭყუტონ რომ შაბი ერთი ჩაის კოვზი და ცივ ცივით ივლოს ყელი ყოველ საათში ერთხელ. ამას გარდა გარედან ყელზედ უნდა აფარონ ცივი კამპრეზები, ცივი ტილო, ასე პატარა ტილოს ნაჭერი ოთხათ დაკეცილი ყელის სიგანეთ უნდა დაასველონ ცივ წყალში, გაწურონ, შემოდონ ყელზედ წინიდან გარეშემოდ და შეუკრან ხელსახოცით. რამდენიც გაზრეს ხელ-მეორეთ უნდა დაასველონ და ისევე ასე შემოდონ გაწურული. ასე უნდა გაუკეთონ დღეში სამჯერ ან ოთხჯერ, და თუ საათი აქვსთ ყოველ ოთხ საათში უნდა უცვალონ ეს ცივ-ცივი ტილო. თუ ამ—შინაურ საშვალებით მეორე დღემდინ შეგება არ მიეცემა ავთამყოფსა, მაშინ დრო აღარ უნდა დაკარგონ და ექიმს უნდა დაუძახონ.

ღუშეთის მაზრის ექიმი ნ. ჩიგანია.

უსხოეთი

წვირილი ამბები. მენის გაზეთი Presse-ი გვაცნობებს, რომ იტალია პლპის მთებზე მაგრისების აშენებას აპირებსო. საჭირო ფული უკვე გადადებულია, და მალე ტენიკური კამისიაც დაინიშნებაო.

საფრანგეთის რესპუბლიკანურ გაზეთებს იმედი აქვთ, რომ გარეშე საქმეთა ახალი მინისტრი—ბართელემი სენტ-ილერის დინჯობა საკმაო საბუთი იქნება საფრანგეთის მშვიდობიან პოლიტიკის დასამტკიცებლად მეროპისათვის. პონსერვატორების და შეურიგებელთა გაზეთები ამტკიცებენ შიულ-ფერის სამინისტრო არეგ-დარეულობას ვერ აცდებო, თუმცა აღიარებენ რომ სენტ-ილერის გარე საქმეთა მინისტრად დანიშნვა მშვიდობიანი პოლიტიკის გარანტია არისო.


მომავალს 188 წლისათვის აგსტორის სამხედრო ბიუჯეტს უნდა მოუმატონ, რადგანც სამაშინაოდ ჯარის კაცების დროებით დათხოვას არ აპირებენ და რეზერვის ჯარიც უნდა მოიწვიონ სამხედრო ვარჯისობისათვის.

ნარკვი

უძილობის წამება ხელ-სახოცის ერთი ნახევარი, ცივ წყალში დასველებული უნდა დააფინო უკან კისერზედ და ზურგზედ წელს ზევით. სიგრილის გამო თავის ტვინი დამშვიდდება და გემრიელათ მიგვიძინებათ.

* *

სურდოთი ავთამყოფობის დროს ბევრს აწუხებს (განსაკუთრებით ხნიერებს) ხანგრძლივი ცხვირის დაცემინება. ამის წამალი: აიღეთ ბამბა და



ორივე ცხვირის ნესტოები გამოიტყნეთ და აღარ დაგაცემინებთ ცხვირს.

* *

ვირ-თაგვებისაგან განთავისუფლება. რაც შეიძლება ბლომათ დაყარეთ თავის ხერხელებთან ვირის პიტნა. არც თავგები და არც ვირ-თაგვები აღარ გაიარს მის სიხლოვეს.

* *

ზოგიერთი საჭმელების შემდეგ ზიანში დაწვნილი სუნის გაქანება. ხუთიოდე მინუტის განმავლობაში უნდა ღეჭოთ ოხრახუში და შეჭამოთ ნახევარი ვაშლი. სუნი გაქრება.

* *

სიცოცხლისაგან ხელების დაწვა. შოველ სალამოობით დაწოლის წინათ ლიმონის წვენი ან ცოტა მოთბო წითელ ღვინოში ამოიბანეთ ხელი.

* *

სიცოცხლისაგან ფეხების დაწვა. წინდას ზევით ფეხზედ უნდა შემოიხვიოთ ქალაღი, რომელშიაც სიცივე ვერ შეატანს.

* *

მთვარის შუქის გავლენა. მთვარის შუქს იგივე გავლენა აქვს, როგორც მზისას. ქაე იგი, პირის სახეს აშავებს... მასალა ქოლგები!..

განსხვავებანი

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მალაზიაში (ალექსანდროვის ბალთან რუსის საყდრის გვერდით)

იქიღვბა მარი ივანეს-ძის

ბროსეს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსეს ზეგერთი სტატიები, რომელიც ფრანკულულის ენიდამ ქართულად ნათარგმნია.

ზარეშემცხოვრებელთათვის აღრესი:

Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичивадзе.

(10 - 1)

საპატრონო სახლი

იაგორკანსუოვი და აბს.

შპორჩილესად სთხოვს მეორე ხარისხის პაის პატრონებს, რომელთაც ამხანაგობიდან გასვლა ჰსურთ და უნდათ მიიღონ მათგანვე შეტანილი ძირის ფული მიმდინარე საოპერაციაო წლის ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, რომელიც გათავდება ამ წლის 1 დეკემბერს—შემოიტანონ სიტყვიერი ანუ დაწერილი განცხადება თავის სურვილისა ამ სახლის მთავარ კანტორაში, თანახმად § 37, რომლითაც ყოველი მათგანი შეკრულნი პრიან ჭირმასთან.

(3-2)

ახალი გამოცემა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი

„ფილიპოვიჩის და აბს.“

ჟოტოგრაფიისა

(საგანგებოდ აშენებულს სახლში)

ბოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი თფილისის ქრების გვერდით, ყოველ-ღღე დილის 9 საათიდან საღამოს 8-მდე.

10-3

მომავალი ოკტომბრის პირველი-დან ამა წლისა ეხსნი ქ. ზორში სახლს, რომელშიაც ამ წლობით, ე. ი. მამავალ 1881 წლის ენკენითვემ-დი, მიიღებინან თხუთმეტიდამ ოცამ-ღღე მოსწავლე ბავშვები რომელთაც ექნებათ საწოლი, სასადილო და საკითხავი ოთახები. ამავე სახლში მიი-აება ჯერ-ჯერობით მუქთად ერთი რომელიმე ძალიან ღარიბი მოსწავ-ლეთაგანი, ვინემ აღგილობრივს სას-წავლებელს გაათავებდეს; ამასთანავე ბავშვებზე იქნება ზედამხედველობა მათის ზნობის დასაცველად და სწავ-ლაზედ თვალის დაქერა. მსურველთ შეუძლიანთ მომმარაგონ პირობების და ფასის შესატყობლად ქ. ზორში, საკუთარს სახლში.

აღალა თუთაევი.

(10-8)

კატეხიანი უგოტაევი

თმებისაოვის 1 მ. 50-დამ და ცხენე-ბისაოვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები სახურავებით 2 მანეთიდან; სარძევე 30 კაზ.; ტუძკები 5 კ.-დან; ფილტრე-ბი (წელის დასაწმენდი) 3 მ-დან და გედრება 1 მან-დან; თეფშები 2 მ-დან ინიდუჟ; შოკოლადის კანფეთები 20 კ-დან თითო ყუთი და სხვ. ინგლი-სურს მალაზიაში.

(100-57)

ღამშეულთ სასარგებლოდ ყოფი-ლის გამოფენის დაბოლავებით მოს-პობის გამო არის

ღ ი ღ ი

დაყიდვა

ზეთიერი და აკვარელის სურათებისა გასაკვირველ იაფად, ბ. მირზოვეის ყო-ფილს სამხატვრო გამოფენაზე, ბო-ლოვინის პროსპექტზე, შიოვეის სახლში პესტლის ფოტოგრაფიის გვერდით. მაყიდვა იწყება ამ თვის 4-დამ ამავე წლის 1 პირველ ოკ-ტომბრამდე. იმავე რიცხვიდამ გამო-ფენის სადგომის ერთი წილი ჰქირაე-დება. იქვე ეზოში იყიდება რკინის განჯინები (შუაფები).

(8-5)

ინგლისის მალაზია

Maison de confiance

შეადარეთ ხვენი ხაი-1 მ. 10 კ. მოსკოვის ხაი-1 მ. 40 კ.

— — —	1-20	— — —	1-60
— — —	1-40	— — —	1-80
— — —	1-60	— — —	2- —
— — —	1-80	— — —	2-50
საუკეთესო	— 2 —	„ — —	3 —

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ტურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, და-ნები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქალაღი, შოკოლადი, კაკაო, კანფე-ტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირე-ბი, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები; მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-

დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსმენე მალაზიაში. მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გა-მოიწერს, გასავზენს არაფერს არ დის. (100-36)

შენიშვნა

რადგან მოქალს ქვეყანაში გამოხენილი და მადეუელი წამალი. თმის გასამაგრებელი

მაკ-მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის განსა ინგლისის მალაზიაში ეს წამალი ხლს 2 მათად დასს.

(100-51)

ПОСТУПИЛА ВЪ ПРОДАЖУ НОВАЯ КНИГА


ЗАКОНЫ

О ДУХОВНЫХЪ ЗАВѢЩАНІЯХЪ

Составилъ присяжный повѣренный Г. В. Бертольдтъ съ поясне-ніемъ текста законовъ, и съ приложеніемъ подробныхъ буквальныхъ извлеченій изъ рѣшеній гражд. кас. Деп. сената, состоявшихся съ 1867 по 1879 г. вѣлчительно, рѣшеній общихъ собраній Сената и ВЫСОЧАЙШЕ утвержденныхъ мнѣній госуд. совѣта. Къ книгѣ при-ложены постатейный указатель и алфавиты, облегчающіе пользованіе книгою. Цѣна 3 руб. 50 коп., съ пересылкою 4 руб. Книгопро-давцамъ обычная уступка. Складъ книги у издателя Г. Бертольдтъ, въ Москвѣ, на Тверской улицѣ, въ домѣ Хомяковыхъ, бывш. Порохов-щикова, кв. № 16. Иногородные могутъ обращаться во всѣ наиболѣе извѣстные книжные магазины и къ издателю; выписывающіе книгу прямо отъ издателя г. Бертольдтъ, за пересылку не платятъ.

(1-1)

დაიბეჭდა და ისქიდევა



ლექსები იოსებ დავიდიოვისა.

გამოცემულია ი. დავიდიოვისა და ვანდენ გოცინიძისაგან.

უასი ორი შუპრი

ისქიდევა შემდეგ ალაგებში: თფილისში—ბრ. ჩარკვიანის და სხვების წიგნის მალაზიაში. ქუთაისში—ბერარდის წიგნის მალაზიაში. ზორში—ბო-ტო ღოთიაშვილის საბაყლო ღუქანში. თელავში—ბირილე ჯაკვადესთან (ბუთიაქში). ონში (რაქაში) თ. შრმილე მიქელაძესთან და სავარჯოლს—სასოფლო ღებოში.

(6-4)